ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: მალხაზ სხირტლაძე

საფუძველი: 12/140103 93-16 10.01.2014წ.

მისამართი: მუხიანის ბაზრობის მიმდ. წყალკანალისკენ მიმავალ ტერიტორიაზე

საკ.კოდი: 01.11.13.002.170

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – AR1151035 10.09.2013წ. №869187

ფუნქციური დანიშნულება: გაზგასამართი IV კლასი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (07.03.14) დადგინდა:

ადმინისტრაციული შენობა:

„1-9" ფასადზე 5-8 მონაკვეთში ავტოსამრეცხაოებში გაუქმებულია ვერტიკალურად მოძრავი კარები. 3-5 და 8-9 მონაკვეთებში შეცვლილია ვიტრაჟების კონფიგურაცია და ნახატები. 2-3 მონაკვეთში დამატებულია ორი კარი. 1-2 მონაკვეთში მოწყობილია კედლები და შექმნილია დამატებითი ფართი, შეცვლილია პერგოლის კონფიგურაცია.

„ა-ბ" ფასადზე შეცვლილია ფანჯრის ნახატი.

საკომპრესორო ბლოკი:

„1-5" ფასადზე გაუქმებულია სამი ფრამუგის ღიობი, ხოლო ერთი შემცირებულია და მონაცვლებული აქვს ადგილი. შეცვლილია კარის კონფიგურაცია, გაბარიტი და მონაცვლებული აქვს ადგილი.

„ბ-ა" ფასადზე დამატებულია კარი კიბე და ბაქანი. ბ-ბ ღერძთან კედელზე მოწყობილია საჩრდილობელი.

შეცვლილია პარაპეტის კონფიგურაცია. სახურავზე სამის ნაცვლად მოწყობილია ერთი გამწოვი აგრეგატი და შეცვლილია მისი კონფიგურაცია. პროექტით გათვალისწინებული მეხამრიდი შენობის გვერდზე მოწყობის ნაცვლად მოწყობილია შენობის სახურავზე.

„ა-ბ" ფასადზე დამატებულია ერთი ფრამუგა ცხაურით, ხოლო „5-1" ფასადზე ორი.

გაზგასამართი ბლოკი:

შეცვლილია გაზგასამართი სვეტების კონფიგურაცია. შეცვლილია საოპერატოროში შესასვლელი ორივე კარის ნახატი.

მოსაცდელი:

გაზრდილია შენობის გაბარიტები.

შეცვლილია ყველა შენობის მოპირკეთების და ასევე ტერიტორიის მოპირკეთების კონფიგურაცია. შეცვლილია ღობეების კონფიგურაცია.

ტერიტორიაზე განთავსებული ტრანსფორმატორი შემოღობილია ცხაურით.

ბ. პაკელიანი

ლ. ცინცაძე